თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2022 წლის 6 ივლისი
მორიგი სხდომის
ოქმი № 10

ქ. თერჯოლა 6 ივლისი 2022 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3. თემურ ქოჩიაშვილი, 4. ლაშა გურგენიძე, 5. იზა მაგრაქველიძე, 6. ბიძინა ბუცხრიკიძე, 7. კობა კაცაძე, 8. ნინო მახათაძე, 9. ომარი ჯიხვაშვილი, 10. ბადრი ბუცხრიკიძე, 11. ჯემალ ისაკაძე, 12. ელისო მურადაშვილი, 13. მანუჩარ ფანჩულიძე, 14. შალვა ჭანკვეტაძე, 15. გრიგოლ გიორგაძე, 16. გოჩა ვერულაშვილი, 17. დავით გოგბერაშვილი, 18. ამირან ვერულაშვილი, 19. რამინი რობაქიძე, 20. თამარ ახვლედიანი, 21. ფრიდონ გვენეტაძე, 22. ნატალია ასათიანი, 23. კობა კირკიტაძე, 24. მერაბი ბასილაძე, 25. რუსუდან კოვზირიძე, 26. როლანდი მესხი, 27. ივანე ჩუბინიძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. კახა ბუცხრიკიძე, 2. დავით ცხდაძე, 3. ტარიელ ფანჩულიძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 30 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 27 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომა დაიწყო 12 ⁰⁰ სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12⁴⁰სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282218590, 04.07.2022 წ.);

   მომხს.: თ. ქოჩიაშვილი

2. ,, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის

მუნიციპალიტეტის მიერ 2021-2024 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 08 დეკემბრის № გ-29-29213421 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282218011, 29.06.2022 წ.);

მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282218166, 30.06.2022 წ.);

მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

4. ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის მიერ 2021 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

მომხს.: შ. ბოჭორიშვილი

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 27 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა , საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია ბიუჯეტის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა - 654.5 ათასი ლარით (გრანტი) და შეადგენს 25792.8 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 654.5 ათასი ლარით (გრანტი).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა 300.0 ათასი ლარით. გზების კაპიტალური ხარჯი შემცირდა 200.0 ათასი ლარით და კეთილმოწყობის კაპიტალური ხარჯი შემცირდა 100.0 ათასი ლარით.

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 954.5 ათასი ლარით. გზების კეთილმოწყობა გაიზარდა 300.0 ათასი ლარით (ინერტული მასალის შეტანა, ტრანსპორტის დაქირავება) სხვა ხარჯი. საშუალო სკოლებში ინფრასტრუქტურის მოწყობა და მოსწავლეთა ტრანსპორტირება გაიზარდა 654.5 ათასი ლარით, რომლითაც დაფინანსდება მოსწავლეთა ტრანსპორტირება 550.0 ათასი ლარით და ინფრასტრუქტურის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები 104.5 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 27 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს „თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის № 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი (დადგენილება № 13, 06.07.2022 წ.).

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს ,, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2021-2024 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 08 დეკემბრის № გ-29-29213421 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი -თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას, თერჯოლის მუნიპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 13 სექტემბერს N46 14 განკარგულებით დამტკიცებული აქვს 2020-2024 წლების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების სამოქმედო გეგმა, საიდანაც ნაწილი პროექტებისა უკვე განხორციელებულია, ნაწილი კი მიმდინარეობს.

დღეის მდგომარეობით, აღნიშნულ სამოქმედო გეგმაში საჭიროა შევიდეს ცვლილება, რაც გამოწვეულია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტის დამატებით:

1. **ქ. თერჯოლაში ბარათაშვილის ქუჩაზე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;**

აღნიშნული გზის მონაკვეთი წარმოდგენს მჭიდროდ დასახლებული გზის ნაწილს, რომელიც თავისი დაზიანების მასშტაბის გამო საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას, გზის მონაკვეთებზე გადაადგილება გაძნელებულია, პროექტის ფარგლებში მოხდება არმირებული ბეტონის საფარის მოწყობა სისქით 16 სმ, მონოლითური რკინაბეტონის სანიაღვრე არხებისა და ცხაურების მოწყობა. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებულია მერიის მიერ და სამუშაოების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 126644 ლარს.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 27 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს ,, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი საპროექტო წინადადებების მოწონებისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ 2021-2024 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2021 წლის 08 დეკემბრის № გ-29-29213421 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29221871, 06.07..2022 წ.).

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი - თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე ირიცხება ავტომანქანები, რომლებიც მათი მდგომარეობიდან გამომდინარე გამოუსადეგარია შემდგომი გამოყენებისათვის. სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ განხორციელდა აღნიშნული ქონების ტექნიკური მდგომარეობისა და საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრა:

1. MERCEDES-BENZ E 230 (სახ.ნ. GML-331, 1996 წ.) – 2200 ლარი;
2. MERCEDES-BENZ E 230 (სახ. ნ. MM-376-MP, 1996 წ) – 2500 ლარი;
3. GAZ 3307-1-ACh. სპეციალიზებული (სახ.ნ. GCC-974, 2000 წ.) -3500 ლარი;
4. GAZ 53 G6 OTA 3,7-01. სპეციალიზებული (სახ.ნ. SF-781-FS, 1989 წ) – 3000 ლარი;
5. VAZ 21061. სედანი. მსუბუქი (სახ.ნ. DAS-888) – 500 ლარი

მუნიციპალიტეტის მერია თანახმაა ზემოაღნიშნული ქონების პრივატიზება განხორციელდეს უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით და საწყისი საპრივატიზებო საფასურად განისაზღვროს ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული საორიენტაციო თანხები.

აზრი გამოთქვეს: როლანდი მესხმა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 26 , წინააღმდეგი - 1

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29221872 , 07.06.2022 წ.).

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის დირექტორის მოადგილემ შორენა ბოჭორიშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის მიერ 2021 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

აზრი გამოთქვეს: მანუჩარ ფანჩულიძემ, ბადრი ბუცხრიკიძემ.

გადაწყვიტეს: დადებითად შეფასდეს ა(ა)იპ თერჯოლის სახელოვნებო განათლების, კულტურისა და ტურიზმის მუნიციპალური ცენტრის მიერ 2021 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ბარათაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 ივლისის საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე
გიორგი ბარათაშვილი